ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/13

დაბა ქედა, 29 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:40 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/13 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 სექტემბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. **„„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო. საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. **ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულად წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი: გულად წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ გააკეთა განცხადება 2012 წელს სოფელ ზესოფელში ბიძინა ივანიშვილის მოსახლეობასთან შეხვედრის თაობაზე, მისი თქმით იმ დროისათვის მთავრობის მხრიდან მთავარი დანაპირები სოფლის მეურნეობის განვითარება იყო, თუმცა აღნიშნა, რომ 11 წლის შემდეგაც იგივე მდგომარეობაა ქედის მუნიციპალიტეტში. სოფლის მეურნეობის განვითარების ნაცვლად, იმატა სოციალურად დაუცველთა რაოდენობამ, კერძოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 16537 ადამიანიდან 14171 სოციალური დახმარების პროგრამის ბაზაშია, რაც პროცენტულად მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 85,69%-ია. დახმარების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა 2417-ია, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 1944 ადამიანი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს განცხადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით შემდეგი სხდომისათვის მოიწვევდა შესაბამის სამსახურის წარმომადგენელს.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95232693, 26.09.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანა იყო, კერძოდ საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ცხრილის მე-2 პუნქტის შემდეგ ემატება მე-3 პუნქტი თანამდებობის შემდეგი რედაქციით: III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

აქვე აღნიშნა, რომ აღნიშნული საშტატო ერთეულის დამატება ხელს შეუწყობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულის მიერ განხორციელებული საქმიანობის სოციალურ ქსელზე და ქედის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ წარმოდგენილო ვაკანსიაზე არის თუ არა სპეციალური მოთხოვნები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ არ ხდებოდა გამოქვეყნება ქედის მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე ბიუჯეტის საჯარო განხილვის და სხვა საკითხების, რასაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველდღიურ საქმიანობაში ახორციელებდა და

ასევე იკითხა აღნიშნული შტატის დამატებასთან დაკავშირებით რჩევა/რეკომენდაცია კონკრეტულად რომელი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო მიცემული.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილ შტატთან დაკავშირებით სპეციალური მოთხოვნა არ არის, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა. აქვე აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღემდე ოფიციალური სოციალური ქსელი არ ჰქონია, ამიტომაც საკრებულოს მიერ შესრულებული საქმიანობის დეტალური გაშუქება ვერ ხდებოდა, თუმცა ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე საკრებულოს ნიუსების, ოქმებისა და სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება მუდმივად ხორციელდებოდა საკრებულოს აპარატის მიერ. აქვე განმარტა, რომ შტატის დამატებით საკრებულოს სიახლეების მუდმივი გაშუქება მოხდება, როგორც ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი -2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე).

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №8, 29.09.2023 წელი).

2. **„,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95232681-95, 25.09.2023 წელი) და განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 ოქტომბერი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2023 წლის 27 ოქტომბერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232722, 29.09.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232502-95, 07.09.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 75.26 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი (ს/კ: 21.03.33.072.01.501) შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232721, 29.09.2023 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232684-95, 25.09.2023 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედაში მდებარე 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 საერთო ფართით 147,96 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობის (ს/კ:21.03.33.499; რომლის საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 333976,80 (სამას ოცდაცამეტი ათას ცხრას სამოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს) სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს თანხმობის შემდგომ განახორციელოს აღნიშნული ქონების სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგია მუნიციპალიტეტის მხრიდან სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-ზე შესაბამისი სტანდარტების შენობის გადაცემა, თუმცა აქვე კითხვით მიმართა საკრებულოს წევრებს რა ღონისძიებების გატარებაა შესაძლებელი ქედის ,,ევექსის" კლინიკის შესანარჩუნებლად, რადგანაც საავადმყოფოს დღეის მდგომარეობით მხოლოდ ემერჯენსის ფუნქცია აქვს შენარჩუნებული, არ ხდება ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, მშობიარეების მიღება-აღრიცხვა და დახურვის საშიშროების წინაშე დგას. მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ თუ რაიმე ბერკეტი აქვთ ხელთ გამოიყენონ მათი ძალები კლინიკის შესანარჩუნებლად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქედის ,,ევექსი"-ს კლინიკამ მცირე კონტიგენტის გამო, რადგანაც ნაკლებადმომგებიანი იყო 2008 წლიდან შეწყვიტა მშობიარეების მიღება, თუმცა აღრიცხვაზე აყვანა დღემდე ხდება, ასევე დღემდე მოქმედებს ქირურგია და გადაუდებელი ოპერაციების განყოფილება. აქვე აღნიშნა, რომ ქედის ,,ევექსი"-ს კლინიკას გაკეთებული აქვს მოთხოვნა ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებით და ლიცენზიის მიღების შემთხვევაში გააგრძელებს მუშაობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232723, 29.09.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**